განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ხელოვნებათმცოდნეობა, ბაკალავრიატი

## სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
**9 ნოემბერი**

დასკვნის წარდგენის თარიღი
**4 დეკემბერი**

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 245628496 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ხელოვნებათმცოდნეობა |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი 10 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ ჩხეიძე<br>თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანა სამსონაძე<br>საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან ოჩხიკიძე<br>საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც მდებარეობს ქ. ბათუმში (ლუკა ასათიანის ქ. №37, 6010, საქართველო). უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული. ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, სპეციალისტის ხელოვნებათმცოდნის მომზადება, რომელიც შეძლებს ცოდნის ინტეგრირებას სახელოვნებო გარემოში, საკუთარი ადგილის დამკვიდრებას და დადებითი როლის შესრულებას საზოგადოებაში.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აღნიშნული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოქმედებს 2010 წლიდან. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთა მობილობის საფუძველზე, კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება განხორციელდა 2012 წელს. საბაკალავრო პროგრამამ პირველი აკრედიტაცია მიიღო 2013 წლის 11 დეკემბრის №213 გადაწყვეტილებით. პირველი ვერსია აკრედიტებული საგანამანათლებლო პროგრამისა, საერთო სახელწოდებით „ხელოვნების ისტორია და თეორია“ აერთიანებდა კონცენტრაციებს: ხელოვნებათმცოდნეობა და კინომცოდნეობა. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობის, დასაქმების პერსპექტივების, მასწავლებლის კარიერული წინსვლის სქემაში კურსდამთავრებულთა ჩართვის შესაძლებლობების გათვალისწინებით 2018 წელს პროგრამა ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სახით, სახელწოდებით - „ხელოვნებათმცოდნეობა“.

საბაკალავრო პროგრამის **ძლიერი მხარეა** რეგიონის საჭიროებებზე ორიენტირებულობა, „გასვლითი პრაქტიკის“ აქტიური ინტეგრირება, მაინორის არჩევანის შესაძლებლობა, რაც კურსდამთავრებულთა დასაქმების არეალს აფართოებს. აღსანიშნავია ასევე, პროგრამის ხელმძღვანელის ეფექტიანი მუშაობა პროგრამის მონიტორინგისა, თუ განვითარებაზე ზრუნვის მიმართულებით; დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური თანამშრომლობა და დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 6 ნოემბრის N990 ბრძანების (აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ) საფუძველზე 2018 წლის ვიზიტის წინა დღეს, 8 ნოემბერს, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა თვითშეფასების ანგარიში, განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც უნდა დასმულიყო მომდევნო დღეს ინტერვიუების პროცესში, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დასადგენად.

9 ნოემბერს აღნიშნულ დაწესებულებაში 09.00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, კაბინეტები და ა.შ). ახალი შენობა, რომელშიც ფუნქციონირებას გააგრძელებს 2019 წლის გაზაფხულის სემესტრიდან. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, დიალოგისა და კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის რეჟიმში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.
ვიზიტის ბოლოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის, აკადემიურ პერსონალის წარმომადგენლებს ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობების შესახებ. პროგრამის სწავლის შედეგები ორიენტირებულია ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესაბამისი დარგის სპეციალისტი - ხელოვნებათმცოდნეების მომზადებაზე. პროგრამის ფარგლებში ძირითად სპეციალობასთან ერთად მაინორის 60 კრედიტიანი მოდულის არჩევის შესაძლებლობა, სტუდენტს საშუალებას აძლევს თავად დაგეგმოს სასწავლო პროცესი. სწავლის დასრულების შემდეგ კი ჰქონდეს დასაქმების ფართო არეალი. დაწესებულება თანამშრომლობს რეგიონის სამუზეუმო გაერთიანებებთან, სასწავლო საგანამანთლებლო დაწესებულებებთან და კულტურის ცენტრებთან, რაც ხელშემწყობ პირობებს ქმნის კურსდამთავრებულთა მომავალი დასაქმებისათვის.

პროგრამა ექსკლუზიურ მნიშვნელობას იძენს რეგიონის კონტექსტში, სადაც კულტურული ტურიზმი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, რომელიც აცხადებს სურვილს რეგიონში დაიკავოს კულტურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ცენტრის ადგილი. და ამ მისიის შესრულებას უზრუნველყოფს განსახილველი პროგრამით (სხვა პროგრამებთან ერთად). აჭარის რეგიონში ეს პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობის პროფილით ერთადერთია. იგი ორიენტირებულია ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებზე და აქვს დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

უნივერსიტეტი ზრუნავს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც შემუშავებული აქვს საჭირო მექანიზმები. დასტურდება ანალიზის შედეგების გამოყენება მართვაში,

პროგრამის განვითარებაში. დაწესებულებას გააჩნია აკადემიური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა. განსაკუთრებით აღსანიშნავია უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული ახალი შენობა, რომელიც ექსპუატაციაში შევა 2019 წლის იანვრიდან. თანამედროვე სტანადარტების შესაბამისი აუდიტორიებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების აკადემიური პერსონალით, რომელიც შერჩეულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის წარმატებით განხორციელებას ხელს უწყობს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, რექტორის აქტიური მონაწილეობით მართვის პროცესში

- **რეკომენდაციები**

დროულად განხორციელდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა, რომელშიც ნათლად აისახება თითოეული სასწავლო კომპონენტის ათვისების პროცესი, ამ სასწავლო კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით; გაუმჯობესდება სწავლის შედეგების (აკადემიური მოსწრებისა და სხვადასხვა სახის გამოკითხვების) სისტემიზირება, რაც გაზრდის სასწავლო პროცესის მართვის ეფექტიანობას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. პროგრამის მიზნები და ამოცანები ძირითადად ორიენტირებულია ხელოვნების სპეციალობით კომპეტენციების განვითარებაზე და ზოგადჰუმანიტარული დარგის კომპონენტების წილი ნაკლებად ფიგურირებს. მიზანშეწონილია, მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყოს არა „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი“, არამედ „ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი“. ამასთან, დაწესებულების მხრიდან თვითშეფასების შესწორებულ ვარიანტში წარმოდგენილი **კოდი - 1007** (თავდაპირველად წარმოდგენილ ვერსიაში კოდი სპეციალიზაციის სვეტიდან იყო მითითებული, რაც ვიზიტის განხორციელებამდე შესწორდა) **შეესაბამება სწორედ ხელოვნებათმცოდნეობის დარგს/სპეციალობას.**
2. სასურველია სტუდენტთა ინფორმირებულობის მექანიზმის სრულყოფა (მაგ., მათ მიერ მიღებული შეფასების გასაჩივრების უფლებისა და შესაბამისი პროცედურების თაობაზე).
3. თვალშისაცემად დიდია პროგრამის ხელმძღვანელის **პროფ. მ. ჭიჭილეიშვილისა (უძღვება 8 სალექციო კურსს** - შესავალი სახვითი ხელოვნების ისტორიაში, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება (I, II), ქრისტიანული იკონოგრაფიის საფუძვლები, შუა საუკუნეების ქართული პლასტიკა, შუა საუკუნეების ქართული ფერწერა, მე-19-20 სს-ის საქართველოს ქალაქების არქიტექტურა, მე-19-20 სს-ის ქართული სახვითი ხელოვნება, ისლამური ხელოვნება და **ხელმძღვანელობს საბაკალავრო საბაკალავრო ნაშრომს)** და **ასოც. პროფ. რატი ჩიბურდანიძის (უძღვება 9 სასწავლო კურსს)** შესავალი სახვითი ხელოვნების ისტორიაში, ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება, ანტიკური ხელოვნების ისტორია, ხელოვნების ძეგლთა მხატვრული ფორმის ანალიზი, აღორძინების ეპოქის ხელოვნება, XVII-XVIII საუკუნეების დას. ევროპის ხელოვნება, XIX ს-ის დას. ევროპის ხელოვნება, XX ს-ის ხელოვნება) (დას. ევროპა, აშშ). შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპის ხელოვნება), რამაც შესაძლოა შეაფერხოს

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვანი შესრულება. სასურველია, განხორციელდეს დატვირთვის გადანაწილება სხვა სპეციალისტებზე.

4. სასურველია თეორიული ანალიზის მეთოდების სასწავლო კურსის გადახედვა და შინაარსის გაფართოება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი თანხვედრაშია რეგიონის კულტურული და სახელოვნებო სფეროების განვითარების პრიორიტეტებთან (კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, კულტურული ტურიზმი, სასკოლო განათლება და სხვ.) პროგრამა ექსკლუზიურ მნიშვნელობას იძენს რეგიონის კონტექსტში, სადაც პროგრამა თავისი ხელოვნებათმცოდნეობის პროფილით ერთადერთია. იგი ორიენტირებულია ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებზე და აქვს დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.
2. პროგრამას გააჩნია სასწავლო კომპონენტებს შორის კრედიტების გადანაწილების მწყობრი სისტემა: 5 კრედიტიანი და 4+1 კრედიტიანი სასწავლო კურსები, რომლის ფარგლებში კურსის თავისებურება გათვალისწინებულია საკონტაქტო (სალექციო/სასემინარო) და დამოუკიდებელი საათების დიფერენცირების დროს.
3. ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ნათლად და გასაგებად არის ასახული სასწავლო კურსის ფორმატი, კრედიტების მოცულობა და მისი საათობრივი გადანაწილება, კურსის მიზნები, სწავლების მეთოდები და ფორმები, კურსის სტრუქტურა, შინაარსი და შესაბამისი აქტივობები, სასწავლო რესურსები და სწავლის შედეგები.
4. კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში, რაც უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის მხრიდან შემოთავაზებული 60 კრედიტიანი minor პროგრამით, რომლის სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერ სასერტიფიკატო გამოცდების წარმატებით ჩაბარებით.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში გაცხადებული მიზანია „შრომის ბაზარზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის - ხელოვნებათმცოდნის მომზადება, რომელიც შეძლებს ცოდნის ინტეგრირებას სახელოვნებო გარემოში, საკუთარი ადგილის დამკვიდრებას და დადებითი როლის შესრულებას საზოგადოებაში“. ეს მიზანი სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად: „1. უმაღლესი სახელოვნებო აკადემიური, პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამების/კურსების განხორციელებით კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, თავისუფალი, ზნეობრივი და შეგნებული მოქალაქეობრივი სულისკვეთების მქონე სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება; 2. რეგიონში დაიკავოს კულტურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ცენტრის ადგილი.“<br>პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული და ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე, რაც დასტურდება უნივერსიტეტის მხრიდან ჩატარებული ბაზრის კვლევებითა და სხვადასხვა სახის გამოკითხვებით, რომელიც განხორციელდა დაინტერესებული მხარეების (პერსონალის, სტუდენტების, კურსადმთავრებულების, დამსაქმებლების, პარტნიორი ორგანიზაციების) აქტიური ჩართულობით.<br>პროგრამის მიზანი მიღწევადია, რაც უზრუნველყოფილია მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანების რელევანტურობით, ფაკულტეტის (პროგრამული) სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული აქტივობებითა და უნივერსიტეტის მხრიდან შემუშავებული მონიტორინგის სხვადასხვა მექანიზმებით. პროგრამის მიზანი ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ უნივერსიტეტის მისია;<br>○ ბხსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა;<br>○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);<br>○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>○ ბხსუ განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;<br>○ ბხსუ განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;<br>○ ბხსუ-ს ვებ-გვერდი;<br>○ ინტერვიუები: პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსადმთავრებულებთან, დამსაქმებლებთან |
| **რეკომენდაციები:**<br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ |

| |
|---|
| დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი თანხვედრაშია რეგიონის კულტურული და სახელოვნებო სფეროების განვითარების პრიორიტეტებთან (კულტურული მემკვიდრეობა, კულტურული ტურიზმი, სასკოლო განათლება და სხვ.) |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის სწავლის შედეგები წარმოადგენს თითოეულ სასწავლო კომპონენტში მისაღწევ სწავლის შედეგების ერთობლიობას, რაც სრულ თანხვედრაშია განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის აღმწერთან:<br>**ცოდნა და გაცნობიერება:**<br>○ ფართო და ზოგადი ცოდნა მსოფლიო და ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიის ძირითადი ეტაპების, მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების შესახებ;<br>○ ხელოვნების ისტორიაში მიმდინარე პროცესების სოციალურ-კულტურულ |

კონტექსტში გააზრების, ხელოვნების ნიმუშის აღწერის, ანალიზისა და შეფასების უნარი;

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, სამუზეუმო საქმიანობის ძირითადი პრინციპების ცოდნა;
- საბაზისო ცოდნა ჰუმანიტარულ დარგებში (ისტორია, არქეოლოგია, კულტურის ისტორია, ფილოლოგია, ფილოსოფია და სხვ.);
- მომიჯნავე სახელოვნებათმცოდნეო დარგების - კინოს, თეატრის, მუსიკის ისტორიისა და თეორიის მიმართულებით ცოდნა;
- დარგის სპეციფიკის და ტერმინოლოგიის, ხელოვნების შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობის ცოდნა.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

- ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის აღწერა, ფორმალური ანალიზის მეთოდით განხილვა-გაანალიზება;
- ანალიტიკური და კრიტიკული განხილვის პრინციპით ხელოვნების ნიმუშის შეფასება, ნამუშევრის მხატვრული ღირებულების განსაზღვრა;
- ხელოვნების ისტორიის საკითხების, მხატვრული ნიმუშების შესახებ მასალების შეგროვება, ინფორმაციის მოპოვება, არგუმენტირებული განმარტება;
- მხატვრული ფორმის ანალიზის საფუძველზე კონკრეტული ნიმუშის ეპოქის კონტექსტში ჩასმა, ხელოვნების ნაწარმოების ან მოვლენის სოციალურ-კულტურულ და ისტორიულ ასპექტში განხილვა და ინტერპრეტაცია;
- ხელოვნებათმცოდნეობითი ლიტერატურის შერჩევა, დამუშავება, პრაქტიკაში გამოყენება, მოხსენების წარდგენა;
- მცირე მოცულობის კვლევითი ან პრაქტიკული სამუშაოს შესრულება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- ინტერდისციპლინურ და მომიჯნავე სფეროს კვლევებში ან პრაქტიკულ პროექტებში მონაწილეობის მიღება.

**დასკვნის უნარი:**

- სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება, განმარტება, სისტემიზირება, კლასიფიცირება, ანალიზი, ხელოვნების ისტორიის კონკრეტული ეპოქის ძირითადი პრობლემების, იდეურ-მხატვრული აქცენტების გამოკვეთა, ხელოვნების ნიმუშის შეფასება დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- ხელოვნების ისტორიის, თეორიისა და კრიტიკის საკითხებზე მსჯელობა და არგუმენტირებული დასკვნის გამოტანა ზეპირი და წერილობითი ფორმით;

**კომუნიკაციის უნარი:**

- კოლეგებთან პროფესიული ურთიერთობების დამყარების უნარი;
- იდეებისა და ინფორმაციის თანმიმდევრულად გადაცემის უნარი ფართო საზოგადოებისათვის თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

**სწავლის უნარი:**

- ხელოვნების ისტორიის პრობლემათა გააზრების, ანალიტიკური ცოდნის გაღრმავების უნარი;
- საკუთარი კომპეტენციის დონის შეფასების უნარი და დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის გაღრმავების უნარი, როგორც პროფესიულ, ასევე მომიჯნავე საქმიანობის

სფეროში;

- მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების უნარი;
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად მასწავლებლის კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვის უნარი.

**ღირებულებები:**

- ხელოვნების, როგორც მხატვრული ღირებულებითი კატეგორიის შეფასების უნარი;
- ისტორიულ მემკვიდრეობისა და კულტურული ტრადიციების მიმართ პატივისცემა, სხვა კულტურათა მიმართ ტოლერანტულობა;
- კულტურულ ფასეულობათა პროპაგანდა-პოპულარიზაციის უნარი და მისი საზოგადოებაში დამკვიდრების უნარი.

პროგრამის წინამდებარე სწავლის შედეგების ჩამონათვალი აღწერს ცოდნას, უნარებსა და იმ ღირებულებებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს აღნიშნული პროგრამის დასრულებისას.

უნივერსიტეტში შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ადეკვატური და განხორციელებადი მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის განვითარებაში ყველა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, რაც დასტურდება უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრებით:

- დამსაქმებელთა გამოკითხვები, როგორც ელექტრონული, ისე ინტერვიუების ფორმით და შედეგების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, როგორც ელექტრონული, ისე ინტერვიუების ფორმით და შედეგების ანალიზი;
- სწავლის შედეგების მონიტორინგი და შეფასების ანალიზი;
- სტუდენტთა გამოკითხვები და შედეგების ანალიზი;
- კვალიფიკაციის შესაბამისად კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი;
- სასერტიფიკატო გამოცდების შედეგები და სხვ.

არსებული მექანიზმების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი და შეფასება პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, რაც განსაზღვრავს პროგრამის განვითარების დადებით დინამიკას, კერძოდ, გარკვეული პერიოდულობით ხდება სილაბუსების განახლება, თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვა, შეფასების მრავალკომპონენტიანი ფორმებისა და კრიტერიუმების შემუშავება-დანერგვა, სასწავლო რესურსის (წიგნადი ფონდის, ქართულენოვანი რიდერების) განახლება და დახვეწა, თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ორიენტირება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებზე.

პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე. ბოლო საანგარიშო პერიოდში (5 წლის განმავლობაში) კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 73%. პროგრამის სწავლის შედეგები, ასევე უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო სივრცეში. სწავლა მომდევნო, სამაგისტრო საფეხურზე გააგრძელა აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთა 21 %, რაც დასაქმების ხელშემწყობ გარემოებებადაა მიჩნეული, ამავე დროს, წარმოადგენს პროგრამის შედეგების შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი, სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სილაბუსები.
- ბხსუ-ს სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი (საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია)
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
- დასაქმების, მათ შორის კვალიფიკაციის შესაბამისად კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი;
- სასერტიფიკატო გამოცდების შედეგების მაჩვენებელი;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- აკადემიური მოსწრების მონაცემები და მისი ანალიზი;
- ინტერვიუები: სტუდენტებთან, პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამაზე დაშვება ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების განხორციელების წესის მოთხოვნათა შესაბამისად. პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები. ასევე, პროგრამაზე დაშვება ხდება სტუდენტთა მობილობის წესით, ბხსუ-ს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის შესაბამისად.<br>ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების შესახებ საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, |

| |
|---|
| რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;<br>○ ბხსუ-ს სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი;<br>○ ბხსუ-ს ვებ გვერდი: www.batu.edu.ge |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი |

ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ბაკალავრიატის დონისადმი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად და შედგენილია ბხსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: ძირითადი სპეციალობის საგნები – 105 კრედიტი, სპეციალობის არჩევითი კურსები -15 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი, სავალდებულო საფაკულტეტო საგნები - 35 კრედიტი, საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნები – 15 კრედიტი, არჩევითი კურსები/ბლოკები/დამატებითი minor სპეციალობა - 60 კრედიტი. პროგრამის წარმოდგენილი სასწავლო კომპონენტების ერთობლიობა, მოცულობა, სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის განხორციელების პირველ სემესტრში გათვალისწინებულია სავალდებულო საუნივერსიტეტო და სავალდებულო საფაკულტეტო დისციპლინები, სწავლების მეორე სემესტრიდან პროგრამის თითოეულ სემესტრში გაერთიანებულია ძირითადი კურსები, არჩევითი დისციპლინები, რასაც სწავლების მეხუთე სემესტრიდან ემატება დამატებითი სპეციალობის/არჩევითი ბლოკები/არჩევითი კურსები.

პროგრამაში გთვალისწინებულია კურსების ქრონოლოგიური, ლოგიკური წყობა, თანმიმდევრულობა, მათი შინაარსი ვითარდება ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. სასწავლო კურსებს შორის ლოგიკური კავშირი ვლინდება სასწავლო კომპონენტებზე დაშვების წინაპირობით. პროგრამის კომპონენტების ნაწილის ათვისება შესაძლებელია პროგრამის სხვა კომპონენტის შესწავლით შეძენილი კომპეტენციების გარეშე და ამიტომ, წინაპირობას არ ითვალისწინებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან, პროგრამის მიზნები და ამოცანები ძირითადად ორიენტირებულია ხელოვნების სპეციალობით კომპეტენციების განვითარებაზე და ზოგადჰუმანიტარული დარგის კომპონენტების წილი ნაკლებად ფიგურირებს, მიზანშეწონილია, მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყოს არა „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი“, არამედ, „ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი“. ამასთან, რჩევის გაზიარება/არ გაზიარების მიუხედავად, თვითშეფასების კითხვარში მითითებული კვალიფიკაციის კოდი შესასწორებელია, რადგან იგი ასახავს ქვედარგის/სპეციალიზაციის ველის შესაბამის კოდს - 100707. კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს დოკუმენტის მიხედვით „პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „ბაკალავრი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით“. აქედან გამომდინარე, კოდის მითითება სპეციალიზაციის სვეტიდან არამართებულია. ეს ტექნიკური ხასიათის პრობლემაა, და ადვილად გამოსწორდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის აღწერილობა (კურიკულუმი);
- პროგრამის სილაბუსები;
- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი (საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია);
- ინტერვიუ სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

მიზანშეწონილია, მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყოს არა „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი“, არამედ, „ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი“.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის

| |
|---|
| სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა, მისი შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, რომლის ძირითადი ინდიკატორებია: სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონაცემები და სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები.<br>სასწავლო კომპონენტების სემესტრული განაწილება ლოგიკური და თანმიმდევრულია. იგი ეფუძნება ხელოვნების ისტორიის სწავლების ქრონოლოგიურ პრინციპს და, ამასთანავე, ვითარდება ზოგადიდან კონკრეტულისაკენ: პირველ სასწავლო წელს სტუდენტი სწავლობს ჰუმანიტარულ-სოციალური მიმართულების, უცხო ენის, საინფორმაციო-ტექნოლოგიური პროფილის საგნებს და, ასევე, შესავალ კურსებს; მეორე და მესამე წელი ეთმობა ხელოვნების განვითარების ეპოქების მიმოხილვას, ანალიტიკურ, თეორიულ, დარგობრივ დისციპლინებს; მეოთხე სასწავლო წელი მოიცავს ხელოვნების ისტორიის კურსებს, საველე გასვლით პრაქტიკასა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას.<br>სასწავლო კომპონენტის სწავლების მეთოდები სრულად უზრუნველყოფს სასწავლო კურსების შედეგების დაუფლებას და ორიენტირებულია დარგობრივი კომპეტენციებისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. თითოეული კომპონენტის სწავლების მეთოდები ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და მიმართულია ამ კურსის სწავლის შედეგების მიღწევაზე.<br>სემესტრში კრედიტები განაწილებულია თანაბრად - 30 კრედიტის მოცულობით (1 კრ. - 25 სთ.). პროგრამაში უმეტესწილად არის 5 კრედიტიანი საგნები. რიგ შემთხვევაში ვხვდებით 4 და 1 კრედიტიან საგნებს, სადაც ეს კრედიტები წარმოადგენს ერთი და იმავე სასწავლო კურსში თეორიული (4 კრ.) და პრაქტიკული (1 კრ.) ნაწილების დიფერენცირებას. თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში საკონტაქტო, მათ შორის სალექციო/სასემინარო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობის გადანაწილება ითვალისწინებს აღნიშნული სასწავლო კურსის თავისებურებას, მის შინაარსს, რაც უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.<br>სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;<br>○ პროგრამის სილაბუსები.<br>○ ბხსუ-ს სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი (საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია)<br>○ აკადემიური მოსწრების მონაცემები და მისი ანალიზი;<br>○ სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებბლების გამოკითხვები და მისი ანალიზი;<br>○ ინტერვიუები: სტუდენტებთან, პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. |

**რეკომენდაციები:**

დროულად განხორციელდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა, რომელშიც ნათლად აისახება თითოეული სასწავლო კომპონენტის ათვისების პროცესი, ამ სასწავლო კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით; გაუმჯობესდება სწავლის შედეგების (აკადემიური მოსწრებისა და სხვადასხვა სახის გამოკითხვების) სისტემიზირება, რაც გაზრდის სასწავლო პროცესის მართვის ეფექტიანობას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პროგრამას გააჩნია სასწავლო კომპონენტებს შორის კრედიტების გადანაწილების მწყობრი სისტემა: 5 კრედიტიანი და 4+1 კრედიტიანი სასწავლო კურსები, რომლის ფარგლებში კურსის თავისებურება გათვალისწინებულია საკონტაქტო (სალექციო/სასემინარო) და დამოუკიდებელი საათების დიფერენცირების დროს.
- ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ნათლად და გასაგებად არის ასახული სასწავლო კურსის ფორმატი, კრედიტების მოცულობა და მისი საათობრივი გადანაწილება, კურსის მიზნები, სწავლების მეთოდები და ფორმები, კურსის სტრუქტურა, შინაარსი და შესაბამისი აქტივობები, სასწავლო რესურსები და სწავლის შედეგები.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი დაგეგმილია სწავლის შედეგების შესაბამისად. პროგრამის სასწავლო კურსები თეორიულ ცოდნასთან ერთად უვითარებს სტუდენტს პრაქტიკულ, სამეცნიერო-კვლევით და ტრანსფერულ უნარებს, რაც განპირობებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებით. სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის თანაფარდობა. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების განვითარების მიზნით სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია პრაქტიკის კურსები საგანში „მუზეოლოგია“, „ქრისიტიანული იკონოგრაფიის საფუძვლები“, დამოუკიდებელი სასწავლო კურსი „გასვლითი პრაქტიკა“. სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების მიზნით სასწაველო კურსებში შერჩეულია სწავლებისა და შეფასების შესაბამისი მეთოდები - პრეზენტაცია, რეფერატი, საბაკალავრო ნაშრომი, ესეი, პროექტი. სამენცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საკონფერენციო მოხსენების მომზადება-წარდგენა, რაც დასტურდება უნივერსიტეტში ჩატარებული საერთაშორიო, რესპუბლიკური და შიდა საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენციებით (12 სტუდენტური საკონფერენციო მოხსენება). პროგრამის არჩევითი კომპონენტები ხელს უწყობს, როგორც სპეციალობის, ასევე ტრანსფერული უნარების განვითარებას. ასევე, პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი 60 კრედიტიანი კომპონენტი (დამატებითი სპეციალობა, არჩევითი კურსები, არჩევითი ბლოკები) სტუდენტს აძლევს საშუალებას შეიძინოს მისთვის აქტუალური ცოდნა და უნარები, რომელსაც გამოიყენებს შრომის ბაზარზე. ამასთანავე, დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების ჩართულობას ორგანიზაციის საქმიანობაში.

აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები ეხმარებიან სტუდენტებს სპეციალობასთან დაკავშირებული მათთვის საინტერესო საკითხების კვლევაში, სტუდენტური კონფერენციებისთვის სამეცნიერო ნაშრომების მომზადებაში.

ბხსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა აწყობს შეხვედრებს, დისკუსიებს, სპორტულ, კულტურულ, გასართობ და სხვ. ღონისძიებებს, რომლებიც ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. ზემოაღნიშნული გარემოებები უზრუნველყოფენ სტუდენტთა ჩართულობას შემოქმედებით და შემეცნებით საქმიანობაში, კვლევითი ნაშრომების/პროექტების მომზადების ხელშეწყობას, პრაქტიკული უნარების განმავითარებელი და კურიკულუ-მისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სტუდენტთა კონფერენციებში ჩართულობის მაჩვენებელი (კონფერენციის პროგრამები);
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- მემორანდუმები პატრნიორ ორგანიზაციებთან;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- გასვლითი პრაქტიკის ამსახველი დოკუმენტაცია.
- მტკიცებულებები სტუდენტთა სტაჟირება/პრაქტიკის შესახებ.
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სწავლა-სწავლების გამოყენებული მეთოდები გამომდინარეობს სასწავლო კურსის შინაარსიდან და სწავლის შედეგებიდან. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფუხურს, კურსის შინაარსს, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება სწავლება/სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები. მაგალითად: ევრისტიკული, ახსნა–განმარტებითი, წერითი, ინდუქციის, დედუქციის მეთოდებით, პორტფოლიოს წარმოების გამოყენებით ხდება ცოდნის შეძენა და ამ ცოდნის გაცნობიერება ძირითად სახელოვნებათმცოდნეო დისციპლინებში; პრაქტიკული, წერითი, ლაბორატორიული, დემონსტრირების, ანალიზის, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები ხელს უწყობს ცოდნის

| |
|---|
| პრაქტიკაში გამოყენების უნარის ფორმირებას; დისკუსია/დებატით, ვერბალური და წერითი მეთოდების გამოყენებით სტუდენტი შეძლებს პრობლემების ანალიზს, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას და დასკვნის გაკეთებას; ჯგუფური მუშაობა, დებატი, როლური თამაშები, ვერბალური, პრეზენტაციის, ელექტრონული სწავლების მეთოდების გამოყენებით ხდება კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბება–პროფესიულ დისკუსიებში მონაწილეობა, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის ზეპირად გადაცემა;<br>საბაკალავრო ნაშრომის შესრულება ემსახურება დამოუკიდებელი სწავლისა და კვლევის უნარის განვითარებას, საკუთარი პროფესიული შესაძლებლობების შეფასებას და უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრას; ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, სიტუაციის ანალიზი, ინდუქცია, დედუქცია ხელს უწყობს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარის ფორმირებას.<br>ბხსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად სტუდენტს უფლება აქვს საგანი/საგნები საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამის დისციპლინის პედაგოგთან შეთანხმებით გაიაროს ინდივიდუალურად დეკანის მიერ დადგენილი განრიგის შესაბამისად სწავლება-სწავლის, შეფასების სათანადო მეთოდებისა და ფორმების შეთავაზებით.<br>სწავლება-სწავლების მეთოდები შერჩეულია პროგრამის კომპონენტების სპეციფიკის გათვალისწინებით და მითითებულია სილაბუსებში. პროგრამის სილაბუსებში გამოყენებული მეთოდები უზრუნველყოფენ დაგეგმილი შედეგების მიღწევას, ხოლო თითოეულ კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა - მთლიანად პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლა-სწავლის მეთოდები);<br>○ სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>○ ბხსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;<br>○ ინტერვიუ სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა).

სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“). სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ–ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:

დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტი“ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე:

ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;
